აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 1

12 იანვარი 2009 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები თამაზ შარმანშვილი და გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;
(მომხ: ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;
(მომხ: ა. მიქელაძე)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ;
(მომხ: ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
(მომხ: ა. მიქელაძე)

5. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბეჭდის ფორმის დამტკიცების შესახებ.
(მომხ: ა. მიქელაძე)

1. დადგენილება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ეკონომიკური სამსახურის უფროსი ბუღალტერის ფუნქციებს აღარ განახორციელებს და ბუღალტრის ფუნქციებს შეასრულებს ბუღალტერი. ასევე განიხილა ყველა ის ცვლილება, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23. 05. 2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-13 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ მიმართა უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის ეკონომიკური სამსახურის უფროსს ლევან სამნიძეს განემარტა კომისიისათვის უსკო-ს 2009 წლის ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებით. ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო უსკო-ს 2009 წლის ხარჯთაღრიცხვა კვარტლების მიხედვით. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2009 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) კვარტლების მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2009 წლის ხარჯთაღრიცხვა თანახმად დანართისა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში 2008 წლის 31 ივლისს განხორციელებული ცვლილებით. ასევე აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი არ იზრდება და რაოდენობა იგივე რჩება.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2 დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №2

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასი
1	**საერთო სამსახური**	**1**	
	უფროსი	1	1274
2	**საორგანიზაციო სამსახური**	**1**	
	უფროსი	1	1274
3	**იურიდიული სამსახური**	**2**	
	უფროსი	1	1274
	სპეციალისტი	1	680
4	**ეკონომიკური სამსახური**	**2**	
	უფროსი	1	1274
	ბუღალტერი	1	1274
5	**საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**	**2**	
	უფროსი	1	1274
	სპეციალისტი	1	680
6	**კადრების სამსახური**	**1**	
	უფროსი	1	1274
7	**თავმჯდომარის თანაშემწე**	**1**	1274

8	**რეფერენტი**	**1**	845
9	**დამხმარე მოსამსახურე**	**2**	
	მძღოლი	1	540
	დამლაგებელი	1	340
10	**სულ**	13	

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულებაში (დამტკიცებული იქნა უსკო-ს ბლანკის ფორმა და რეკვიზიტები) ცვლილების განხორციელება გამოწვეულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღებით რის თანახმადაც, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებმა და თანამდებობის პირებმა სამართლებრივ აქტებზე, ბლანკებზე, ბეჭდებზე და შტამპებზე სრული სახით უნდა გამოსახონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი საქართველოს სახელმწიფო გერბთან ერთად. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონი ავალდებულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებოვის პირებს მათ მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებზე გამოსახული იყოს სახელმწიფო გერბთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი რის საფუძველზეც უსკოს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას ახალი ბლანკის ფორმა სადაც საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბთან ერთად გამოსახული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი. ასევე დაწვრილებით აღწერა ბლანკის ფორმის რეკვიზიტები, და განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 26 დეკემბრის №7 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბლანკის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად:

უსკოს ბლანკი შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: ბლანკი არის მართკუთხა ფორმის ტიპის, 210X297 მმ. და 11.5 გრ. თაბახის ფურცელი. ფურცელის ზევითა მარცხენა ნაწილში გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, რომლის მარცხენა მხარეს (დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის პირდაპირ) გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის მარჯვნივ მითითებულია გამომცემი ორგანოს დასახელება სახელმწიფო ენაზე და ამავდროულად ინგლისურ ენაზე. გერბისა და გამომცემი ორგანოს დასახელების ქვემოთ გასმულია ლურჯი ფერის 5 მმ სიმაღლის ხაზი 10 სმ სიგრძის. ხაზის ქვემოთ მითითებულია ინდექსის ნომერი, გამოცემის რიცხვი თვე და წელი. ფურცელის ბოლოში, ბოლოდან 3 სმ ზევით გასმულია 18 სმ სიგრძის 0,5 მმ სიმაღლის ლურჯი ფერის ხაზი, ხაზის ქვემოთ მითითებულია უსკოს მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომერი, როგორც

სახელმწიფო ასევე ინგლისურ ენაზე. ფურცლის უკანა მხარეს ბოლო მარჯვენა კუთხეში მითითებულია ფურცელის რიგითი ნომერი.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბეჭდის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბეჭდის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებს და თანამდებობის პირებს ავალდებულებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირის ბეჭდებზე სრული სახით გამოსახონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი სახელმწიფო გერბთან ერთად. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონის შესაბამისად უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბეჭდის ფორმა სადაც საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბთან ერთად გამოყენებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო გერბის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის ბეჭდის ფორმა თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის ქ. ბათუმი ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია